



ტესტი გეოგრაფიაში

2015

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა ტესტის ბუკლეტი, პასუხების ფურცელი და რუკა.

ტესტი ამოწმებს პროფესიულ ცოდნას და სწავლების მეთოდიკას.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი. ყოველ შეკითხვას კონკრეტულად და ამომწურავად უპასუხეთ. გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ტესტის ბუკლეტში არსებული ცარიელი ადგილები შეგიძლიათ გამოიყენოთ შავი სამუშაოსათვის!

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

• კითხვა არჩევითი პასუხებით


ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

- რომელი მარშრუტი გაივლის შემდეგ გეოგრაფიულ ობიექტებს: სკაგერაკის სრუტე - კატეგატის სრუტე - კ. ზელანდია - ალანდის კ-ბი - ბოტნიის ყურე?




- რომელი საათი იქნება მექსიკის დედაქალაქში, თუ ფინეთის დედაქალაქში 10 საათია?



- 02.00 სთ
- 05.00 სთ
- 14.00 სთ
- 17.00 სთ


3. რომელ სქემაზეა სწორად ნაჩვენები დედამიწაზე წნევის სარტყლების განაწილება?



4. რომელი ბუნებრივი ზონა არ გვხვდება ზომიერ კლიმატურ სარტყელში?

- ა. სტეპი
- ბ. უდაბნო
- გ. ტაიგა
- დ. სავანა

5. მოცემულ სქემაზე, რომელი ფერი შეესაბამება კონტინენტურ მეჩესს (შელფს)?



- ა. ყვითელი
- ბ. ცისფერი
- გ. ვარდისფერი
- დ. მწვანე

6. რომელ ფოტოზეა გამოსახული რელიეფის გლაციალური ფორმა?



7. რომელი თემის ახსნისას არის, ყველაზე მეტად, მიზანშეწონილი მოცემული ილუსტრაციის გამოყენება?



- ა. წყლის მცირე და დიდი წრებრუნვა დედამიწაზე
- ბ. რელიეფის ფორმირება კარსტული პროცესების შედეგად
- გ. სანაპირო ზოლის ფორმირება აბრაზიული პროცესების შედეგად
- დ. ენდოგენური და ეგზოგენური ძალების მოქმედება დედამიწაზე

8. ძირითადად რა განაპირობებს ეგრისის ქედზე მცინვარების არსებობას?

- ა. ანომალურად დაბალი ტემპერატურები
- ბ. ძალზე მაღალი აბსოლუტური სიმაღლე
- გ. მყარი ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობა
- დ. სვანეთის ქედის სიახლოვე


9. რომელი არ არის საქართველოს რელიქტი?

- ა. პონტოს მუხა
- ბ. კოლხური ბზა
- გ. ძელქვა
- დ. წიფელი

10. სად წარმოიქმნება ალუვიური ნიადაგი?

- ა. წიწვოვანი ტყეებით დაფარულ ფერდობებზე
- ბ. მდინარეების ჭალებში
- გ. ვულკანური ფერფლით დაფარულ ფერდობებზე
- დ. ნივალურ-გლაციალურ ზონაში

11. რომელი თემის ახსნისას გამოიყენებდით მოცემულ რესურსს?



- ა. კასპიის ზღვა
- ბ. შავი ზღვა
- გ. არალის ზღვა
- დ. წითელი ზღვა

12. რომელია მართებული მსჯელობა საქართველოს კლიმატთან დაკავშირებით?

- ა. მთიანი რელიეფის პირობებში მთელი წლის განმავლობაში მოქმედებენ მთა-ხეობის ქარები, რომლებიც ერთი მიმართულებით ქრიან და განსაკუთრებით ცივ პერიოდში აქტიურდებიან
- ბ. მოსული ნალექების ყველაზე მეტი რაოდენობა დაკავშირებულია ჰაერის მასების აღმოსავლეთიდან შემოჭრასთან
- გ. კოლხეთის დაბლობზე ნოტიო-სუბტროპიკული, ხოლო შირაქისა და ელდარის ველზე არიდული ჰავის ტიპია გავრცელებული
- დ. სეტყვიან დღეთა საშუალო წლიური რაოდენობის მინიმუმი აღინიშნება სამხრეთ საქართველოში, ხოლო მაქსიმუმი შავი ზღვის სანაპირო ზოლში


13. რომელი სახელმწიფოა მდიდარი ტორფით?

- ა. აზერბაიჯანი
- ბ. ყაზახეთი
- გ. ბელარუსი
- დ. სომხეთი

14. რომელ სახელმწიფოშია ბურების კომპაქტური დასახლება?


- ა. ეგვიპტეში
- ბ. კანადაში
- გ. არგენტინაში
- დ. სარ-ში

15. რომელი სახელმწიფოს მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურას ასახავს მოცემული დიაგრამა?



- ა. იტალიის
- ბ. შვეიცარიის
- გ. საფრანგეთის
- დ. ავსტრიის

16. რომელი სახელმწიფოს მოსახლეობის რელიგიურ სტრუქტურას ასახავს მოცემული დიაგრამა?



- ა. აშშ-ის
- ბ. გაერთიანებული სამეფოს
- გ. ირლანდიის
- დ. ავსტრიის

17. რომელი ქალაქის სიმბოლოა ვაშლი?

- ა. ლონდონის
- ბ. მეხიკოს
- გ. ნიუ-იორკის
- დ. პარიზის

18. ცხრილში მოცემულია X რეგიონის ზოგიერთი დემოგრაფიული მაჩვენებელი. დაადგინეთ, რამდენი იყო X ქვეყანაში მიგრაციული საღდოს მაჩვენებელი 2014 წლის ბოლოს.

2013 წ.	2014 წ.		
მოსახლეობის რაოდენობა	შობადობა	მოკვდაობა	მოსახლეობის რაოდენობა
5000 კაცი	46 კაცი	78 კაცი	4817 კაცი

- ა. -151
- ბ. -215
- გ. 151
- დ. 215

19. რომელი სახელმწიფო გახდა გაეროს წევრი უფრო ადრე?

- ა. უკრაინა
- ბ. შვეიცარია
- გ. ისრაელი
- დ. იაპონია

20. ნატოს წევრ რომელ სახელმწიფოს არ გააჩნია რეგულარული სამხედრო შენაერთები და ჰყავს მხოლოდ სანაპირო დაცვის ნაწილები?

- ა. ისლანდიას
- ბ. თურქეთს
- გ. საბერძნეთს
- დ. ესპანეთს

21. რის შემდეგ გახდა გერმანია, უფრო მეტად, ენერგოდამოკიდებული რუსეთზე?

- ა. ქვანახშირის მოპოვების შეწყვეტის შემდეგ
- ბ. ატომური ელექტროსადგურების კონსერვაციის შემდეგ
- გ. ჰიდრორესურსების გამოყენების შემცირების შემდეგ
- დ. თბოელექტროსადგურების კონსერვაციის შემდეგ

22. რომელი მსჯელობაა მართებული?

- ა. გერმანიის სახელმწიფოს მეთაურია კანცლერი
- ბ. კანადის სახელმწიფოს მეთაურია გენერალ-გუბერნატორი
- გ. შვედეთის სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი
- დ. იამაიკის სახელმწიფოს მეთაურია გაერთიანებული სამეფოს მონარქი

• შესაბამისობის დადგენა

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

23. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	ჰიდროელექტროსადგური		მდინარე
ა	ორთაჭალპესი	1	მტკვარი
ბ	აწქესი	2	რიონი
გ	გუმათპესი	3	იორი
დ	ზაქესი	4	არაგვი
ე	სიონპესი	5	აჭარისწყალი
ვ	ვარციხეპესი		
ზ	ჟინვალპესი		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

24. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	მინერალური წყალი		რეგიონი
ა	სქური	1	აფხაზეთი
ბ	ფლატე	2	გურია
გ	საირმე	3	იმერეთი
დ	ნაბელავი	4	სამცხე-ჯავახეთი
ე	კლიჩი	5	სამეგრელო
ვ	მიტარბი		
ზ	ავადჰარა		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

25. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	ქანი		ქანის ტიპი
ა	თაბაშირი	1	მაგმური
ბ	კრისტალური ფიქალი	2	მეტამორფული
გ	ობსიდიანი	3	დანალექი
დ	კირქვა		
ე	პემზა		
ვ	ქვიშაქვა		
ზ	გნეისი		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

26. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	ავტოქტონური მოსახლეობა		სახელმწიფო
ა	ბრეტონელები	1	ნიდერლანდები
ბ	ფლამანდელები	2	ესპანეთი
გ	ფრიზები	3	გაერთიანებული სამეფო
დ	გასკონელები	4	ბელგია
ე	ვალელები	5	საფრანგეთი
ვ	ვალონები		
ზ	კატალონიელები		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

27. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	სახელმწიფო		რეგიონი
ა	პაკისტანი	1	დასავლეთ ევროპა
ბ	იემენი	2	ტროპიკული აფრიკა
გ	საფრანგეთი	3	ახლო აღმოსავლეთი და ჩრდ. აფრიკა
დ	ბელგია	4	სამხრეთი აზია
ე	ნიგერია	5	ცენტრალური ევროპა
ვ	ავსტრია		
ზ	სუდანი		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

28. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

	მშპ ერთ სულ მოსახლეზე / გლობალიზაციის ჯამური ინდექსი		სახელმწიფო
ა	43 100 \$ / 85.38	1	ჩილე
ბ	6 100 \$ / 61.56	2	ბელგია
გ	37 800 \$ / 92.30	3	ინდოეთი
დ	19 100 \$ / 72.91	4	კანადა
ე	4 000 \$ / 51.57	5	საქართველო

ა	ბ	გ	დ	ე

29. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

	ღირსშესანიშნაობა		სახელმწიფო
ა		1	ინდოეთი
ბ		2	გაერთიანებული სამეფო
გ		3	ჩილე
დ		4	ესპანეთი


2		5	ავღანეთი
3		6	საფრანგეთი
ზ		7	იტალია

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

30. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

გეოგრაფიული ობიექტი		სახელმწიფო									
ა		1	დანია								
ბ		2	ნორვეგია								
გ		3	ზიმბაბვე								
დ		4	ნიგერია								
<table border="1"><tr><td>ა</td><td>ბ</td><td>გ</td><td>დ</td></tr><tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr></table>		ა	ბ	გ	დ					5	ახალი ზელანდია
		ა	ბ	გ	დ						
		6	ავსტრალია								
7	აშშ										

31. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

	მოგზაურობის მარშრუტი		მოგზაური
ა		1	ფერნანდო მაგელანი
ბ		2	ქრისტეფორე კოლუმბი
გ		3	რუალ ამუნდსენი
დ		4	მარკო პოლო
ე		5	დევიდ ლივინგსტონი
ვ		6	ფრენსის დრეიკი

ზ		7	ვასკო და გამა
---	--	---	---------------

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

32. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოჩენა შესაძლებელია):

	სახელმწიფო		ოფიციალური ენა
ა	ჰაიტი	1	გერმანული
ბ	მალტა	2	ფრანგული
გ	ჩილე	3	ინგლისური
დ	ავსტრია	4	ესპანური
ე	ბენინი		
ვ	ლიხტენშტეინი		
ზ	სუდანი		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

• რუკის ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

33. (6) ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:


33.1. რომელი მთა მდებარეობს A წერტილიდან 250° აზიმუტით?

- ა. მ. ბარეთი
- ბ. მ. იაილა
- გ. მ. ლივადი
- დ. მ. ყვითელი

33.2. რომელი მთის დანახვაა შეუძლებელი A წერტილიდან?


- ა. მ. ბარეთის
- ბ. მ. იაილას
- გ. მ. ლივადის
- დ. მ. ყვითელის

33.3. რომელი პროფილი შეესაბამება მ. იმერადან მ. ბარეთამდე გავლებულ მონაკვეთს?



33.4. (1) ახსენით, რამდენი მეტრია მდ. ფოხლუჩაის ვარდნა?

33.5. (2) ახსენით, მეურნეობის რომელი დარგებია განვითარებული სოფ. იმერაში?



პირობითი აღნიშვნები

გეოდეზიური პუნქტები

- 1 2 3 1) სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები; 2) ასაგებო ქსელის ნერტივები ადგილზე დაზარალებული ცენტრებით; 3) სახელმწიფო საინჟინერო ქსელის რეპერები და მარკები

დასახლებული პუნქტები

- 1 2 3 1) მუნიციპალიტეტის ტერიტორია; 2) გამორჩეული ცენტრები; 3) ორიენტირის მნიშვნელობის მქონე დაზარალებული და ნახევრად დაზარალებული მუნიციპალიტეტები
- 1 2 1) მსხვილი ქალაქები; 2) სხვა დასახლებული პუნქტები
- 1 2 მჭიდროდ განაშენიანებული კვარტლები არა ცენტრალურ ნაგებობების სიჭარბით:
- 1) მსხვილი ქალაქები; 2) სხვა დასახლებული პუნქტები
- კვარტლებისა და ქუჩების მჭიდროდ განაშენიანებული უბნები:
- 1) ქუჩები ქუჩების სიჭარბით; 2) მაგისტრალური და მთავარი ქუჩები; 3) სხვა ქუჩები და გასასვლელი
- 1 2 3 1) მუხრანდ განაშენიანებული კვარტლები; 2) კვარტლები განაშენიანებით; 3) დაზარალებული და ნახევრად დაზარალებული კვარტლები სასოფლო და საგარეო ტიპის დასახლებებში


სამრეწველო და სოციალურ-კულტურული მოგზაურობები

- 1 2 3 1) სოფლები; 2) საგანმანათლებლო; 3) ქარხნები, ფაბრიკები და ნიჟილეები მილის გარეშე
- 1 2 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები (კარიერები):
- 1) მინერალური წყლები; 2) ქუჩების სიჭარბით
- 1 2 1) რადიოსადგურები და ტელეცენტრები; 2) სატელევიზიო ანტენები
- 1 2 1) კომპიუტერული ტიპის კაპიტალური შენობები (წყალსაცავი, კომპიუტერი და სხვა); 2) აეროპორტები და აეროდრომები
- 1 2 3 4 1) ელექტროსადგურები, ტანდემები 2) მუხრანდ განაშენიანებული; 4) ციხესიმაგრეები
- 1 2 1) კავშირგაბმულობის ხაზები (ტელეფონის, ტელეგრაფის, რადიოგადაცემის); 2) წყალქვეშა კავშირგაბმულობის ხაზები
- 1 2 3 4 1) სატელევიზიო და ტელეფონის ქსელების პირები: 1) მოქმედი; 2) უმოქმედო
- 1 2 1) მარილის ღია წესით დამუშავება; 2) ტორფის დამუშავება
- 1 2 1) მეტეოროლოგიური სადგურები; 2) ტექნიკური და მონიტორინგის
- 1 2 3 4 1) კორის გამოყენება და ხის ნახშირის მისაღებად გამოყენებული, რომლებიც ორიენტირის მნიშვნელობის აქვს; 2) საბინათუბო, ორანჟერეები
- 1 2 3 4 1) სასაფლაოები; 1) ქრისტიანული; 2) მუსლიმური; 3) ქრისტიანული და მუსლიმური


საპროექტო გზები და რკინიგზები

- 1 2 1) საგზაო და ტყის გზები; 2) საცაღადო გზები ბილიკები და ხიდები
- 1 2 1) საგზაო გზები საფარის გარეშე (გაუმჯობესებული ყამირი გზები); 2) სასოფლო გზები (გრუნტის)
- 1 2 1) ავტომაგისტრალური (ავტობანები) ორ ზოლზე მეტი საგზაო ნაწილი; 2) ავტოგზა გაუმჯობესებული საფარით 2-ზე მეტი საგზაო ნაწილი
- 1 2 1) საავტომობილო გზები საფარით (გზატკეცილები)

პროგრამა



- 1) ზღვის სანაპირო ხაზები; მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მუდმივი და განსაზღვრული ნაპირის ხაზები; 2) ცვალებადი ნაპირის ხაზები;



- მუდმივი მდინარეები და ნაკადულები:
- 1) ჩანჩქერები და ქორბები; 2) მდინარეთა დინების მიმართულება და სიჩქარე მ/წმ-ში



- შრობადი მდინარეები და ნაკადულები




- არხები და თხრილები:
- 3-5-ზე ნაკლები სიგანის 3-15 მ სიგანის 15-30 მ სიგანის



- სარწყავი არხები (არხები) რკინიგზების ღერებში საყრდენებზე

რელიეფი და გეგმარული საფარი

მთლიანი პირობითი გეგმარული საფარი 10 მეტრში



- ა) პირიზონტალური:
- ა-1 ძირითადი გამსვლილებული; ა-2 ძირითადი; ა-3 დამატებითი (ნახევარ-პირიზონტალური); ა-4 დამატებითი (ნებისმიერ სიმაღლეზე); ა-5 ღრუბლები; ა-6 ნახევრად პირიზონტალური მეტრებში; ბ-1 კლდეები; ბ-2 ფლკები; ბ-3 ქვიანი მდინარეები; ბ-4 მკვირი ქანების ჩამონახები; გ-1 ფირფიტის მინდვრების საზღვრები; გ-2 მუხრანდების რელიეფი; გ-3 მორეები;




- 1) შრობადი კალაპოტები და დამშალი ტბების ღრმები; 2) კარსტული და თერმოკარსტული ძარბები, რომლებიც არ გამოიხატება რუკის მასშტაბში
- 1) სწორი ქვიშარები; 2) ქვიანი ზედაპირები



- 1) ქვიანი და ღრუბლიანი ზედაპირები; 2) კოლხიზიანი ზედაპირები



- 1) კლდის ნარჩენები; 2) ცალკე მდებარე ქვი



- 1) უღელტეხილები; 2) შესასვლელი გამოქაბულები და გროტები



- ხიდები:
- ა) მინიმალური ზომის ბ) ქუჩების სიჭარბით



- 1) არტეზიული წყები და ქაბურღილები; 2) წყალსაცავები



- 1) წყაროები; 2) კეთილმოწყობილი წყაროები

1:1234 2:540

მცენარეული საფარისა და გრუნტის საზღვრები

ტყის ვიწრო ზოლები და ქარსაცავები

ბუჩქების ვიწრო ზოლები და ცოცხალი ლობები

ტყის დომინანტი ხის ტიპები:

1) წიწვოვანი; 2) ფოთლოვანი; 3) შერეული

1) ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომარეობის; 2) მერყეული ტყეები

1) ტყეები; 2) ბუჩქნარები

1) ხეებისა და ციტრუსის ბაღები; 2) ვენახები

1) ტექნიკური კულტურების პლანტაციები; 2) ბრინჯის მინდვრები

1) სტეპის (ბალახოვანი) მცენარეულობა; 2) ლუკმისა და ლერწმის რაყები

1) გაუფიქრებელი და ძნელად გასაფიქრებელი ტიპის მცენარეულობა; 2) გასაფიქრებელი მლაშობები

• **ნაშრომის შეფასება**

ინსტრუქცია

მოცემულია მასწავლებლის მიერ შედგენილი დავალება და მოსწავლის პასუხი. შეადგინეთ მასწავლებლის მიერ მომზადებული დავალებისთვის შეფასების სქემა და თქვენს მიერ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით შეაფასეთ მოსწავლის ნამუშევარი. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

34. (7) მოსწავლემ შეასრულა ქვემოთ მოცემული დავალება. გაეცანით მას და უპასუხეთ კითხვებს:

მასწავლებლის მიერ შედგენილი დავალება:

ტექსტი

იმერეთის ფართობი 6.6 ათას კვ.კმ შეადგენს, რაც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 11%-ია. მოსახლეობის რაოდენობა 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით დაახლოებით 700 ათასს უტოლდება. იმერეთში 12 ადმინისტრაციული ერთეულია.

რეგიონს კარგად გამოხატული ბუნებრივი საზღვრები აქვს. ჩრდილოეთიდან მას რაჭის, აღმოსავლეთიდან - ლიხის, სამხრეთიდან - მესხეთის ქედები ესაზღვრება. დასავლეთი საზღვარი კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილზე და მდ. ცხენისწყალზე გადის.

იმერეთი გამოირჩევა ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, რომლის შენარჩუნების მიზნით შექმნილია სხვადასხვა ტიპის დაცული ტერიტორიები. მხარის უდიდეს ნაწილზე ტენიანი სუბტროპიკული ჰავაა გავრცელებული. იანვრის საშუალო ტემპერატურა +5°, +7°C-ია, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +22°, +24°C-ია (აპრილის +13°, +15°C, ოქტომბრის +12°, +14°C). ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა დაახლოებით 1200-1500 მმ-ია.

სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება მანგანუმი, ქვანახშირი, ბარიტი, ბენტონიტური თიხები, მარმარილო და სხვა საშენი მასალები, მაგრამ მათი უმეტესობის სამრეწველო მარაგი მცირეა. მხარე მდიდარია მინერალური და სამკურნალო წყლებით („ნუნისი“, „ზვარე“ და სხვ.).

მხარის მოსახლეობა მონოეთნიკურია. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართველია. ქალაქებში დაახლოებით 322 ათასი კაცი ცხოვრობს.

იმერეთი მდიდარია ისტორიულ-კულტურული ძეგლებით, რომელთაგან რამდენიმე იუნესკოს (UNESCO) მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შეტანილი.

კითხვები:

I. რას უდრის იმერეთში ურბანიზაციის დონე?

- ა. 26%
- ბ. 36%
- გ. 46%
- დ. 56%

II. იმერეთში არსებული რომელი ისტორიულ-კულტურული ძეგლებია შეტანილი იუნესკოს (UNESCO) მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში?

III. ტექსტიდან გამომდინარე, მეურნეობის რომელი დარგის განვითარებაა პერსპექტიული იმერეთში? პასუხი დაასაბუთეთ.

მოსწავლის პასუხი:

I. სწორი პასუხია ბ) 36%

II. მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანილია გელათისა და მოწამეთას მონასტრები

III. ტექსტში ნახსენებია ლანდშაფტური მრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიებისა და მინერალური წყაროების სიმრავლე, ასევე მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ძეგლები, ამის საფუძველზე იმერეთში შესაძლებელია ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარება.

თქვენი დავალების კითხვები:

34.1. (3) მასწავლებლის მიერ შედგენილი დავალებისთვის შეიმუშავეთ შეფასების სქემა. თითოეული კითხვა შეაფასეთ ქულით და ახსენით, რატომ ანიჭებთ კონკრეტულ კითხვას შესაბამის ქულას. (თითოეული კითხვისთვის პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის I, II და III გრაფაში):

34.2. (1) თქვენ მიერ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით, მიაწიქეთ მოსწავლის პასუხს შესაბამისი ქულა.

34.3. (3) დაუწერეთ მოსწავლეს განმავითარებელი შეფასება. თითოეული კითხვისთვის ახსენით: რატომ დაიძახურა მან თქვენ მიერ მინიჭებული ქულა, რა შეცდომა დაუშვა მოსწავლემ და განმარტეთ, რა შემთხვევაში მიიღებდა იგი მაქსიმალურ ქულას (თითოეული კითხვისთვის პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის I, II და III გრაფაში):

პასუხი:

34.1.

კითხვა	ქულა	ახსნა
I.		
II.		
III.		

34.2. -----

34.3.

კითხვა	განმავითარებელი შეფასება
I.	
II.	
III.	

• სადისკუსიო თემის განსაზღვრა

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია სასწავლო რესურსი (რუკები და ფოტოები). მათი გამოყენებით განსაზღვრეთ სადისკუსიო თემა და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

35. (7) სასწავლო რესურსის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:

1		 ბათუმი
2		 ჰურგადა
3		 იურმალა

35.1. (1) თქვენი მიზანია მოსწავლეებს გამოუმუშაოთ არგუმენტირებული მსჯელობის უნარი. მოცემული რესურსის საფუძველზე განსაზღვრეთ სავარაუდო სადისკუსიო თემა. (თემა უნდა ეხებოდეს საზღვაო კურორტებს და მოიცავდეს მთლიან რესურსს. თემის სათაურში ნათლად ასახეთ სადისკუსიო საკითხი).

35.2. (6) თქვენ მიერ შერჩეული თემიდან გამომდინარე, რესურსში მოცემული კურორტებისთვის სადისკუსიოდ მოიყვანეთ თითო-თითო დადებითი და უარყოფითი არგუმენტი.

ფოტო N	დადებითი არგუმენტი	უარყოფითი არგუმენტი
1		
2		
3		

• **გაკვეთილის დაგეგმვა**

ინსტრუქცია მოცემულია მასწავლებლის მიერ შედგენილი გაკვეთილის გეგმა. ყურადღებით გაეცანით მას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.	
--	--

36. (8) გაეცანით გაკვეთილის გეგმას და უპასუხეთ კითხვებს:

საგანი	გეოგრაფია
კლასი	IX
გაკვეთილის თემა	საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა
მიმართულება ^{ესგ¹} საგნობრივი სტანდარტიდან	გარემო და სოციალური სისტემები
მისაღწევი შედეგი ^{ესგ} საგნობრივი სტანდარტიდან	გეო.IX.8. მოსწავლეს შეუძლია მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლებისა და დინამიკური მახასიათებლების დაკავშირება ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობასთან
მისაღწევი შედეგის ინდიკატორი ^{ესგ} საგნობრივი სტანდარტის მიხედვით	• სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ადგენს სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდებს და ადარებს სხვადასხვა აღწარმოების ტიპის მქონე ქვეყნების ანალოგებს; • სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე ადარებს საქართველოს ორ კონტრასტულ რეგიონში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას; მსჯელობს შექმნილი ვითარების გამომწვევ მიზეზებზე და სიტუაციის გაუმჯობესების გზებზე.
სასწავლო მიზანი	1. სქესობრივ-ასაკობრივი (დემოგრაფიული) პირამიდის მიხედვით ინფორმაციის ინტერპრეტაცია; 2. საქართველოს მოსახლეობის გარემიგრაციული ნაკადებისა და მათი გამომწვევი მიზეზების კვლევა; 3. მოსახლეობის აღწერის მეთოდების შესწავლა; 4. ანალიზისა და კომუნიკაციის უნარის გამომუშავება.
სასწავლო რესურსი	• სასკოლო სახელმძღვანელო, კომპიუტერი, პროექტორი და სხვა აუცილებელი საკანცელარიო ნივთები; • მასწავლებლის მიერ მოძიებული სხვადასხვა აღწარმოების ტიპის მქონე ქვეყნების - ჩინეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა დემოგრაფიული პირამიდები და დემოგრაფიული მაჩვენებლები.
აქტივობა	1. გონებრივი იერიში: მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები. 2. საკლასო სამუშაო: ა) მოსწავლეების მიერ ინდივიდუალურად შესასრულებელი დავალება: • 2012 წლის სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე ააგეთ საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული პირამიდა. ბ) მოსწავლეების მიერ წყვილებში შესასრულებელი დავალება: • მასწავლებლის მიერ მოძიებული ქვეყნების დემოგრაფიული პირამიდებიდან ამოირჩიეთ ერთ-ერთი და შეადარეთ საქართველოსას. მსგავსება-განსხვავებები წარმოადგინეთ

¹ ესგ - ეროვნული სასწავლო გეგმა

	თქვენთვის სასურველი ფორმით. 3. გაკვეთილის შეჯამება: • მასწავლებელი პროექტორის საშუალებით მოსწავლეებს უჩვენებს მსოფლიოსა და მოძიებული ქვეყნების სქესობრივ-ასაკობრივ პირამიდებსა და დემოგრაფიული მაჩვენებლების ცხრილს. მოსწავლეები თავიანთი ნამუშევრებისა და ახალი ინფორმაციის შეჯერების საფუძველზე მსჯელობენ აღწარმოების ტიპებზე და მათი მოსახლეობის სტრუქტურაზე გავლენის შესახებ. 4. საშინაო დავალება: • 2012 წლის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შეარჩიეთ საქართველოს ნებისმიერი რეგიონი და შეადარეთ საქართველოს სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა ამ რეგიონის ანალოგიურ მაჩვენებლებს (მსგავსება-განსხვავებები წარმოადგინეთ თქვენთვის სასურველი ფორმით). ააგეთ თქვენ მიერ შერჩეული რეგიონის დემოგრაფიული პირამიდა. პირამიდისა და სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრეთ რეგიონში არსებული აღწარმოების ტიპი.
--	--

36.1. (1) რომელი სასწავლო რესურსის დამატება იქნება საჭირო გაკვეთილზე მე-2 აქტივობის შესასრულებლად?

36.2. (2) რომელი სასწავლო მიზნების მიღწევა იქნება შეუძლებელი მოცემული გაკვეთილის გეგმის მიხედვით?

36.3. (2) ესგ საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგის ინდიკატორებიდან ამოწერეთ დებულების მხოლოდ ის ნაწილი, რომლის მიღწევაც შეუძლებელი იქნება მოცემული გაკვეთილის გეგმის მიხედვით. პასუხი დაასაბუთეთ.

36.4. (1) მოცემული გაკვეთილისთვის, რომელ აქტივობას დაუთმობდით ყველაზე მეტ დროს და რატომ?

36.5. (2) რომელი კოგნიტური (სააზროვნო) უნარის განვითარებას ემსახურება გაკვეთილის გეგმაში მოცემული საშინაო დავალება? პასუხი დაასაბუთეთ.
